



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

19 თებერვალი 2015 წელი

განკარგულება №20

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

დავით დარჩია

ცნობა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2015 წლის 4 მარტამდე, დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის 4 მარტამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე, ტელ.: 599 98 39 00. ozurgeti.org.ge).

დადგენილება №-----

თებერვალი ---- 2015 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს მე-80 მუხლის და 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209³-ე, 239-ე და 240-ე მუხლების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშების წესი თანახმად №1 დანართისა.
2. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადებისშესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის აქტის ტიპური ფორმები თანახმად №2 -№5 დანართებისა.
3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მითითების, შემოწმების აქტისა და უწყების ტიპური ფორმები თანახმად №6 -№8 დანართებისა.
4. ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში უწყების, მიწერილობისა, შემოწმების აქტისა და სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშების წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 აგვისტოს №33 დადგენილება.
5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე და 240-ე მუხლების, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს მე-80 მუხლის და 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში (შემდგომში – „სამსახური“) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის აქტის, მითითების, შემოწმების აქტისა და უწყების აღრიცხვა-ანგარიშების სამართლებრივ მექანიზმებს.

2. სამსახური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ფორმებით მომარაგება, გაცემა და დაბრუნება

1. ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.

2. ოქმის ფორმების წარმოების ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადების (წერილის) საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

ბ) ინფორმაციას მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახელწოდებისა და მიზნობრივი დანიშნულების შესახებ.

გ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში გაყალბებისაგან დამცავი ყველა ნიშნის აღნიშვნით;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნას მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნიმუშის (პროექტების) შეთანხმების თაობაზე, შესაბამის ნიმუშთან (პროექტთან) ერთად;

ე) მკაცრი აღრიცხვის ფორმაზე აღნიშნული უნდა იყოს ფორმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები „სფს რეგისტრაციის №“.

4. სამსახურის მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღრიცხვა ჟურნალში, რომელიც უნდა იყოს დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და რეგისტრირებული სამსახურში.

მუხლი 3. ოქმების შენახვა

1. ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, რომლის შესაბამისად მკაცრი აღრიცხვის ფორმები ინახება პასუხისმგებელ პირთან, რომელსაც განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, ან მოსამსახურეს, რომელსაც ევალება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა და გაცემა, სამსახურის უფროსმა მოსამსახურეს უნდა შეუქმნას სათანადო პირობები ამ ფორმებით შესაბამისი ოპერაციების წარმოებისათვის, რისთვისაც უზრუნველყოფს მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების შესასრულებლად განკუთვნილი სათავის დაცულობას.

2. სათავსი, სადაც ინახება ოქმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარემო პირისათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და საქმისწარმოება

1. ოქმს სათანადოდ უფლებამოსილი პირი ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს;

ბ) მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას;

გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით, დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხევა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი;

ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული;

დ) ნორმატიული აქტი (ნორმაზე მითითებით), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ე) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან;

ზ) სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

6. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულნი, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმის შემდგენის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

9. ოქმი მისი შედგენიდან დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

10. ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო ვალდებული არიან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

11. ჯარიმა ექვემდებარება გადახდას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

მუხლი 5. სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოება

1. მითითება წარმოადგენს სამსახურისათვის სამშენებლო სამართალდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული საქმისწარმოების საფუძველს, რომელიც განსაზღვრულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლით.

2. მითითება არის სამსახურის მოთხოვნა დამრღვევის მიმართ, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის წარმოების პროცესში, გონივრულ ვადაში, ნებაყოფლობით გამოასწოროს ის ხარვეზები, რომლებიც გამოწვეულია ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით.

3. დამრღვევი მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდება როგორც მითითების შეუსრულებლობისათვის, აგრეთვე არადროული შესრულებისათვის ან/და ნაწილობრივ შესრულებისათვის.

4. მითითება ივსება ორ ეგზემპლარად:

ა) ერთი – ბარდება სამშენებლო სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით, რომელშიაც მითითებულია მშენებლობის ეტაპი მითითების გაცემის მომენტში, დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები, საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევებზე, დამრღვევის დასახელება და მისამართი, ობიექტის დასახელება და მისამართი, მითითების ნომერი და გაცემის დრო;

ბ) მეორე – რჩება სამსახურში და ტარდება შესაბამის ჟურნალში.

5. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამსახური ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

7. თუ შემოწმების აქტში დაფიქსირდა დარღვევა აქტში აისახება გადაწყვეტილება:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანი ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ.

8. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით სამსახური იღებს გადაწყვეტილებას თუ:

ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა;

ბ) საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები;

გ) პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ;

დ) არ არსებობს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

9. შემოწმების აქტი დგება ორ ეგზემპლარად:

ა) ერთი – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით;

ბ) მეორე – რჩება სამსახურში და ტარდება შესაბამის ჟურნალში.

10. უწყება ეგზავნება სამართალდამრღვევს, რომლის ბრალეულობა სამსახურის მიერ დადგინდა წინასწარი შემოწმების შედეგად.

11. უწყება ივსება ორ ეგზემპლარად:

ა) ერთი – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით, რომელშიც მითითებულია სამართალდარღვევის სახე, კანონით დადგენილი რა ნორმები იქნა დარღვეული. დამრღვევის დასახელება და მისამართი, ობიექტის დასახელება და მისამართი, სადაც აღმოჩენილ იქნა სამართალდარღვევის ფაქტი. საქმის განხილვის თარიღი და საქმის განხილვის დრო;

ბ) მეორე – რჩება სამსახურში და ტარდება შესაბამის ჟურნალში.

12. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. თუ ვერ ხერხდება მხარისათვის უწყების ჩაბარება (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება მისი განთავსება უწყებაში მითითებულ ობიექტის თვალსაჩინო ადგილას.

13. მხარის გამოუცხადებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის განხილვის დამაბრკოლებლად.

მუხლი 6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მონაცემები შეიტანება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №4) (შემდგომში – რეგისტრაციის ჟურნალი) შესაბამისი გრაფების შევსებისა და საქმის რეგისტრაციის ნომრის დაფიქსირების გზით.

2. რეგისტრაციის ჟურნალი იწარმოება სამსახურში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას რეგისტრაციის ჟურნალში მათი შედგენიდან (გამოტანიდან) სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. რეგისტრაციის ჟურნალის შევსების წესი

1. რეგისტრაციის ჟურნალის პირველ და მეორე გრაფაში შეიტანება საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-3-მე-10 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა.

3. მე-11-მე-14 გრაფებში მიეთითება მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

4. მე-15-21-ე გრაფებში მიეთითება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე.

5. 22-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები გადახდილი ჯარიმის თაობაზე.

6. 23-ე გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.

7. თუ ოქმი იგზავნება სასამართლოში განსახილველად, 24-ე გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო მე-15-23-ე გრაფები არ ივსება.

მუხლი 8. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა

1. ოქმის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) ოქმის შედგენის დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ოქმის ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს „გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის (დანართი 5) (შემდგომში – ჩამოწერის აქტი) შედგენით, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოსაყენებლად უვარგისი (ჩამოწერილი) ოქმის ფორმების ინდივიდუალური ნუმერაცია.

3. ჩამოწერილი ოქმის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 30 აგვისტოს №824 ბრძანების შესაბამისად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
იურიდიული სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
სერია № 000000

1. ----- 20 წ. 2. -----
ოქმის შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ოქმის შედგენის ადგილი

3. -----
ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი

4. დავადგინე, რომ -----
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი

ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული

5. პასუხისმგებლობა აღნიშნული დარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----- მუხლით / მუხლის ----- ნაწილით.

6. მონაცემები დამრღვევის შესახებ: -----

სახელი, გვარი, მისამართი, პირადი № და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
დამრღვევს განემარტა მისი უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით.

7. მოწმე ან/და დაზარალებული: -----

ხელმოწერა სახელი, გვარი, მისამართი

8. ოქმის შემდგენელი პირი: -----

ხელმოწერა სახელი, გვარი

9. სამართალდამრღვევი პირი: -----

ხელმოწერა სახელი, გვარი

10. ჩავიბარე ოქმი: -----

სამართალდამრღვევის ხელმოწერა

11. დამრღვევის ახსნა-განმარტება: -----

12. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები: -----

13. შეფარდებულია ადმინისტრაციული სახდელი: -----

ჯარიმის თანხა (ციფრებით და

სიტყვიერად)

14. შენიშვნა: -----

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

გაგრძელება

ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმი	ოქმის შედგენის ადგილი (კლასიფიკატორი)	ადმინისტრაციული სამართალ დარღვევის ოქმის შედგენის თარიღი	ოქმის შემდგენელი (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების №	დადგენილების გამოტანის თარიღი
11	12	13	14	15	16

გაგრძელება

დადგენილების გამოტანი (გვარი, სახელი)	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი	ადმინისტრაციული სახდელის სახეობა	დამატებითი სახდელი	დარიცხული ჯარიმის თანხა	გადახდილი ჯარიმის თანხა	თუ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები	შენიშვნა
17	18	19	20	21	22	23	24

დანართი №5

აქტი №

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ

_____ (აქტის შედგენის ადგილი)

_____ 200 წელი

№	რაოდენობა	ოქმის ინდივიდუალური ნომერი (ნომრები)	შენიშვნა

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერის სისწორეს:

იურიდიული სამსახურის უფროსი

/ -----/

ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი

/ -----/

მითითება №-----

შედგენის თარიღი -----

დამრღვევის დასახელება და მისამართი _____

ობიექტის დასახელება და მისამართი _____

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი _____

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები _____

რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს _____

საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევებზე განისაზღვრება _____ ლარით.

დარღვევის გამოსწორების ვადა ----- დღე.

მითითების გამცემი _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

მითითება ჩაიბარა _____

(სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

შენიშვნა: თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან სამართლებრივი აქტის გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან გადაწყვეტილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი) _____

შემოწმების აქტი №-----

შედგენის თარიღი --- -----

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს -----
მუხლის ----- ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება _____

გაცემული №----- მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების
მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: _____

შემოწმებით დადგინდა: _____

რითაც დგინდება, რომ:

- ა) მითითება შესრულდა ბ) მითითება არ შესრულდა
- გ) მითითება სრულდება არადროულად

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა): _____

_____ შემოწმების აქტი
ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა): _____

შენიშვნა: თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან გადაწყვეტილების
გაცნობა (ჩაბარება), პირდაპირი ჩაბარებით გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში,
შემოწმების აქტში, უწყებაში ან აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ სამართლებრივ
აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად
მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი) განთავსების თარიღი _____

უწყება №----

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-თ გათვალისწინებული დარღვევის საფუძველზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის შესაბამისად, დაბარებული ხართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში (ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1) არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

დამრღვევის დასახელება და მისამართი _____

ობიექტის დასახელება და მისამართი _____

_____ საქმის განხილვის
თარიღი _____

_____ საქმის
განხილვის ადგილი _____

შენიშვნა: თუ ვერ ხერხდება მხარისათვის უწყების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება მისი განთავსება უწყებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

გაფრთხილებთ, რომ მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

უფლებამოსილი თანამდებობის პირი -----

უწყების განთავსების თარიღი -----

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: არჩილ ყაზაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს მე-80 მუხლი და 93-ე მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლი და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 209³-ე, 239-ე და 240-ე მუხლები.

ა.ბ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში უწყების, მიწერილობისა, შემოწმების აქტისა და სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესი და ფორმები. აღნიშნული კანონები ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-თ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.

გამომდინარე აქედან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმები და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესი შემუშავებულია მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებთან მიმართებაში.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით განისაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციულ და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმები და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4.იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2015 წლის 15 მარტი.